ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N33

2021 წლის 31 მაისი

ქ.ქობულეთი

შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს მიერ სასეირნო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფებისა და სასეირნო ავტობუსის საიჯარო ქირის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ” ქვეპუნქტის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 13 მაისის N01-14/4749 მომართვის შესაბამისად:

1. შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს მიერ სასეირნო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფები დადგენილ იქნას შემდეგი სახით:

1.1 ქობულეთი - გასართობი ცენტრი „ციცინათელა“ მგზავრობის ტარიფი 1.0 (ერთი) ლარის ოდენობით.

1.2 ქობულეთი - შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკამდე მგზავრობის ტარიფი 2,0 (ორი) ლარის ოდენობით.

2. შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს ბალანსზე რიცხული სასეირნო ავტობუსებიდან ერთი ერთეული სასეირნო ავტობუსის თვიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**